

ს.ს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის „კრისტალის“ დაჯარიმების
შ ე ს ა ხ ე ბ

ს.ს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის „კრისტალის“ დირექტორის მანუჩარ ჩიტაიშვილის 24.07.2014წ, №01-5262 მომართვის საფუძველზე, ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით სანებართვო პირობების კონტროლის მიზნით, სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტებმა მოვახდინეთ ნიკეას ქუჩის №22-ში მდებარე ს.ს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ კუთვნილი, რეკონსტრუირებული სათავო ოფისის გადამოწმება, რის შედეგადაც დაფიქსირდა შემდეგი სამართალდარღვევა:

სამშენებლო დოკუმენტით პროექტში ფასადის სიბრტყის ერთი ნაწილი დაქანებულია შიდა მიმართულებით, რეკონსტრუირებულ ობიექტში კი ფასადი წარმოადგენს ერთიან სიბრტყეს; ვიტრაჟი პროექტის მიხედვით უნდა იყოს შეწყული სიბრტყიდან 0,7 მეტრით; რეალურად კი გამოწეულია 0,7 მეტრით; ანალოგიური ხასიათის დარღვევასთან გვაქვს ადგილი ვიტრაჟის ვერტიკალური კიდეების მიმდებარედაც, რამაც საერთო ჯამში გამოიწვია ფასადის დარღვევა.

აღნიშნულით დარღვეულია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რაც ითვალისწინებს დამრღვევის დაჯარიმებას 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“ ქ.ქუთაისი ნიკეას ქუჩის №22-ში „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაჯარიმდეს 1000 /ათასი/ ლარით.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ დაჯარიმება დამრღვევს არ ათავისუფლებს დარღვევის გამოსწორებისაგან, ასევე, დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, მიღებულ იქნება გადაწყვეტილება საურავის დაკისრების შესახებ.

3. ჯარიმა ჩაირიცხოს: მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო ქუთაისი, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა, მიმღები ბანკის კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი 300183263, შემოსავალი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში სამართალდარღვევებიდან.

4. სამართალდამრღვევმა ჯარიმის თანხა უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ჩაბარებიდან 30 დღეში.

5. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალე პირადად.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრამის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან 15 დღის განმავლობაში.

7. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ნ.მიქიაშვილი